



პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების
უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილება № 04

2019წ. “ 05 ” 12

ქ. თბილისი

სსიპ კოლეჯი „სპექტრის“-თვის პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების
უფლების მოპოვების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების
მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამისა და
პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების დასკვნისა და პროფესიული
მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს სხდომაზე, დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის,
შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების
მე-9 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - კოლეჯ „სპექტრის“ (ს/კ: 208183605) მიეცეს უფლება განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი
პროფესიული მომზადების პროგრამები:

პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში		მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა
					მინიმ.	მაქს.	
სხვადასხვა მასალის დამუშავება თანამედროვე CAM	მომზადება	5	9	ქართული	5	15	30

პროგრამების გამოყენებით, 3 D მოდელირება და რთული მრავალკომპონენტიანი ნაკეთობების პროექტირება.							
ციფრული ელექტრონიკის ტექნიკისი	მომზადება	3	12	ქართული	5	15	30
ლამინირებული ავეჯის დამზადება	მომზადება	3	6	ქართული	5	15	30
მძიმე ტექნიკის (ავტოგრეიდერი, სატვირთველი და ჰიდრავლიკური ექსკავატორი) მართვა	მომზადება	3	12	ქართული	5	15	30

2. სსიპ - კოლეჯ „სპექტრს“ მსმენელთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 120-ით;
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 5 დეკემბრის №2 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან;
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით.

მისამართი, დავით ალმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
მარიამ ქუჩულორია

მდივანი
მარიკა ზაქარეიშვილი